

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკის
და დიზაინის ფაკულტეტი

დოქტურანტურის II კურსი
ანა ლალიძე

თბილისის გამწვანებისა და რეკრეაციული ლანდშაფტების დაცვა-
განვითარების საკანონმდებლო ბაზა

II სემინარი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, არქიტექტურის
დოქტორი თენგიზ მახარაშვილი

თბილისი 2015 წელი



მწვანე მშენებლობის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზას საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა პერიოდში. რუსეთის იმპერიაში მომხდარი რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების პერიოდში შეიქმნა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების კომპლექსური გენერალური გეგმა. რისი განახლებაც ხდებოდა ყოველ 25 წელიწადში, პროექტის რეალიზაციის გაანალიზების საფუძველზე, ახალი სოციალურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური პროგრესის, სტრატეგიული მოთხოვნების და პირობების გათვალისწინებით. საბჭოთა ქალაქგეგმარების თეორიასა და პრაქტიკაში „მწვანე მშენებლობას“ სათანადო ყურადღება ექცეოდა. ძველი, „ამორტიზირებული“ უბნების, სასაფლაოების ადგილზე ბაღ-პარკების მოწყობა პრიორიტეტული იყო. პრაქტიკაში დაინერგა გამწვანების ნორმები და წესები; გამწვანებული ტერიტორიის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე ქალაქების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად იქცა.

1923 წელს, თბილისის საქალაქო საბჭოსთან შექმნილი საბაღე სექცია შეუდგა „განადგურებული ბაღების“ აღდგენას. ქალაქის გამწვანება კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში ჩაჯდა.

1926 წელს მოეწყო სკვერი შუა ბაზრის (ამჟამინდელი ლესელიძის) ქუჩაზე; კიდევ ერთი სკვერი გაშენდა ავლაბრის უბანში; 1927 წელს, სასაფლაოს ადგილზე გაიმართა ვერის პარკი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მტკვრის სანაპიროების გამწვანების შესახებ.

1932-1934 წწ. შედგა ქალაქის ისტორიაში პირველი გენერალური გეგმა, დაიწყო ქალაქის ტერიტორიის გამწვანებისა და გაწყლოვანების დიდი სამუშაოები, მთაწმინდის კალთებზე ტყეპარკის მოწყობის, მდინარე ვერეს მარცხენა ნაპირზე ზოოპარკის მშენებლობის სამუშაოები. დაგეგმილი იყო რამოდენიმე პარკის შექმნა ქ. თბილისის სხვადასხვა ნაწილებში.

1932 წელს ჩამოყალიბდა თბილისის გამწვანებული ტერიტორიის ერთიან სისტემად გადაქცევის მსხვილმაშტაბიანი ქალაქმშენებლობითი იდეა. ქალაქის ყველა რაიონში უნდა გაშენებულიყო პარკები - მათ შორის, ავლაბარსა და ორთაქალაში, აგრეთვე ორბელიანის კუნძულზე. მშენებარე სანაპიროებს, ხეივნებითურთ, ამ პარკებს შორის გამაერთიანებელი რგოლის ფუნქცია უნდა ეტვირთა. გაშენდა კომკავშირის ხეივანი (1935 წ.), პარკი მთაწმინდის პლატოზე (1938 წ.) და სხვა.



1971 წელს დამტკიცდა თბილისის მესამე გენერალური გეგმა (1980-2000 წლებისათვის)

ქალაქის გამწვანებას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო თბილისის მეორე გენერალურ გეგმაში (1954 წ.). ქალაქთმშენებლობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

შეიქმნა მარჯანიშვილის სახ. მოედანი (40-იანი წწ. მიწურული);

გაყვანილ იქნა განივი მაგისტრალეები - ვარაზისხევი, გურამიშვილის ქუჩა (50-იანი წწ.).

70-იან წლებში მთავრდება მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ მაგისტრალური ქუჩების გაყვანა და გამწვანება;

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა.

გაშენდა გამარჯვების პარკი (ამჟამად ვაკის პარკი), დაიწყო ხელოვნური წყალსაცავის ე. წ. "თბილისის ზღვის" გარშემო ტყე-პარკის, დასვენების ზონის მოწყობა.

გაიზარდა თბილისის ტერიტორია - მთლიანად ათვისებულ იქნა ვაკის, საბურთალოს, მცირე დიდმის, მთავრდება ღრმაღელის, ავჭალის, ფონიჭალის, დაწყებულია ვარკეთილის, გლდანის, ავშნიანის, ბაგებისა და სხვა ტერიტორიების განაშენიანება.

გაგრძელდა მტკვრის სანაპიროების გამწვანება; დაიგეგმა „მწვანე სოლების“ მეშვეობით ბუნებრივი ლანდშაფტის შემოყვანა თბილისის ურბანულ ქსოვილში.

გარდა ამისა პროექტში გათვალისწინებული იყო ქალაქიდან აღმოსავლეთით მახათას მალღობზე მდებარე სამი ტბის შესართავთან სამგორის წყალსაცავის მშენებლობის საკითხი.

დიდმის ველი, დაკავებული ბაღებითა და ვენახებით, წარმოადგენდა ქალაქისათვის საჭირო ჰაერის რეზერვუარს.

ამასთან ერთად, „ძველ უბნებში“, უწინარესად პლენარის პროსპექტზე გათვალისწინებული იყო დაბალსართულიანი შენობების აღება და ისტორიულად არსებული შიდაკვარტალური პარკების დაკავშირება პროსპექტთან.

1971 წელს დამტკიცდა თბილისის მესამე გენერალური გეგმა (1980-2000 წლებისათვის)

ამ წლებში გრძელდებოდა საპარკო მასივების შექმნის მნიშვნელოვანი სამუშაოები:

აშენდა დიდი პარკი ვაკეში წყლის კასკადით, რაც ამ ტერიტორიაზე საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს ქმნის.

„თბილისის ზღვის“ ირგვლივ შეიქმნა დასვენების ზონა, მოწყობა პარკი 850 ჰა-მდე ფართობით. დაიგეგმა მწვანე სარტყლის შექმნა თბილისის ირგვლივ (ტყეპარკის სარტყელი), რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღონისძიებად.

ახალი გენერალური გეგმის შესაბამისად, თბილისში, თავისუფალ ტერიტორიებზე ახალი საბინაო მშენებლობისთვის გამოყოფილი ფართობი შეადგენდა დაახლოებით საერთო საბინაო ფონდის 70%-ს.

მიუხედავად საბჭოთა პერიოდის თბილისის გამწვანებისა და კეთილმოწყობის მიმართულებით გარკვეული მიღწევებისა, კომუნისტურმა სისტემამ ძალიან ბევრი ლანდშაფტურად გაუმართავი უბნები და მძიმე შეცდომები დაუშვა თბილისის ქალაქგეგმარებითი და ლანდშაფტურ-რეკრეაციული საკითხების გადაწყვეტისას.



აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს: მდინარე მტკვრის, როგორც მთავარი ქალაქმაფორმირებელი ფაქტორის უგულველყოფა. მდინარის სანაპიროები მოქალაქეების დასვენებისა და გართობის მთავარი ღერძი უნდა გამხდარიყო. ასეთი ტენდენციები ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან არსებობდა (ორთაჭალის ბალები, მადათვის კუნძული და ა.შ.), მაგრამ კომუნისტებმა მტკვარი ბეტონის არტახებში მოაქციეს და მისი ორივე სანაპირო სატრანსპორტო კომუნიკაციად აქციეს. ამით მდ. მტკვარი მოსწყვიტეს ქალაქის ნაწილებს, მოქალაქეებს. ეს არის შეცდომა, რომლის გამოსწორება თითქმის შეუძლებელია.

შეცდომა იყო, ასევე, ის, რომ: თბილისის დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული სასოფლო ტერიტორიების (დიღმის, გლდანის, ვარკეთილის და ა.შ) გამწვანებული სასოფლო –სამეურნეო სავარგულები შთანთქა უზარმაზარმა და სრულიად უსახო საცხოვრებელმა რიგებმა. ისედაც, ძალზე მცირემიწიან საქართველოს დააკლდა ათასობით ჰექტარი სასოფლო სამეურნეო ტერიტორიები, რითაც დიდი ეკონომიური, ეკოლოგიური და ა.შ. ზარალი მოუტანა ქვეყანას.

გარდა ამისა: ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გამწვანება ხდებოდა არა ლანდშაფტის დიზაინის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით, არამედ, ქუჩებსა და პროსპექტებზე ხეების მწკრივებად განლაგებით. ასევე დაბალი იყო ბალებისა და პარკების მხატრულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და მცირე არქიტექტურული ფორმების ხარისხი.



აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველი სახელმწიფო გარემოს დაცვითი ორგანო – ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ჯერ კიდევ 1975 წელს შეიქმნა.

მისი ძირითადი ფუნქცია იყო ბუნების დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და დარგთაშორისი კოორდინაცია. რეგიონებში ანალოგიური სამუშაოების ჩატარების მიზნით, იქმნებოდა ზონალური ინსპექციები და ჰიდრო ქიმიური ლაბორატორიები.

1989 წელს გაიზარდა რა სამსახურის როლი გარემოს დაცვით საქმიანობაში, სამსახურს შეეცვალა სტატუსი და მისი სახელწოდება ჩამოყალიბდა როგორც ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი.

სამსახური ატარებდა კარკვეული კატეგორიის საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის ეკოლოგიურ ექსპერტიზას. იმ პერიოდში შექმნილი გარემოს მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ბაზა საფუძვლად დაედო 1999 წელს დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებას.

მწვანე მშენებლობის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა პოსტსაბჭოთა საქართველოში 90-იან წლებში სუსტად ვითარდებოდა. დღემდე ფაქტურად არ ჩამოყალიბებულა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციები. კანონმდებლობის არ ქონა და სხვა მიზეზები ხელს უწყობს თბილისის ბაღების განადგურებასა და ამმონაკვეთებზე ქალაქის განაშენიანების განთავსებას.

ქვეყანაში მიმდინარე ეკოლოგიურად ორიენტირებული საინვესტიციო ქალაქთმშენებლობითი პროცესების რეგულაციის წარმოება მოიაზრება შესაბამის საკანონმდებლო გარემოს ფარგლებში. საქალაქთმშენებლო საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობენ რამდენიმე სამთავრობო უწყება:

იუსტიციის,
კულტურისა და ბუნების დაცვის,
მდგრადი ეკონომიკური განვითარების სამინისტროები
და მუნიციპალიტეტები.



ქალაქთმშენებლობითი განვითარების პროცესი სარეგრეაციო ლანდშაფტის თუ საპარკო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით რეგულირდება ბუნების დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული კანონებით, რომლებიც არეგულირებენ ქალაქთმშენებლობით საქმიანობას ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

ამ კანონებს შორის უნდა გამოიყოს 1996 წლის 10 დეკემბერს მიღებული N 519 - ის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში (შემდგომ "გარემოს დაცვაში") საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შეღვისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) განისაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები;

ბ) დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი;

გ) უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; გ) მიაღწიოს ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის იშვიათი, ენდემური, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შენარჩუნებას, ზღვის გარემოს დაცვას და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფას; (06.06.2003. N2383).

დ) შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები;

ე) სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში საერთო გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრა;

ვ) დაიცვას და შეინარჩუნოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემო:

ზ) სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;

თ) სამართლებრივად - უზრუნველყოს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;

ი) უზრუნველყოს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ოპტიმალური ურთიერთშეთანაწყოება (ჰარმონიული შეხამება);

კ) სამართლებრივად უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მართვა გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.



ეკოლოგიური გარემოს დაცვის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს შორის უნდა აღინიშნოს -1999 წლის 22 ივნისს მიღებული N 2116 - II ს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ:

საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით ბინძურდება. მათგან ურბანიზებული გარემოს ძირითადი დამბინძურებელია ავტოტრანსპორტი, ენერგოსექტორი და მწვანე საფარის განადგურების ტენდენცია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ავტოტრანსპორტის და ენერგოსექტორის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობები და შესაბამისად იზრდება ამ სექტორებიდან მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევები.

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საერთო გაფრქვევებში პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი (CO), შემდეგ ნახშირწყალბადები (აონ-აქროლადი ორგანული ნივთიერებანი) ΣCH, მეთანი (CH4), მყარი ნაწილაკები (არაორგანული მტვერი), აზოტის ოქსიდები და ამიაკი.

კანონი, რომელიც დაკავშირებულია თბილისის ეკოლოგიურ დაცვასთან წარმოდგენილია 2000 წლის 10 ნოემბერს მიღებული N 594 - ის ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ. ამ კანონის შესაბამისად წარმოებს ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყით სარგებლობის რეგულაცია და აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების განკარგვა. ამ კანონების ცხოვრებაში გატარებისათვის ამოქმედებულია ისეთი სახელმწიფო უწყება, როგორცაა - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექცია.

აღნიშნული დაწესებულების საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა წარმოდგენილია გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ კანონით. ამავე სამინისტროს ასევე დავალებული აქვს ეკოლოგიური ექსპერტიზის შესრულება, რომლის საქმიანობის რეგულაცია წარმოებს 2007 წლის 14 დეკემბერის N 5603 – ს კანონით ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ, რომლის მიზანია: გარემოს დაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების უზრუნველყოფა;



ამავდროულად ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა არის აუცილებელი საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებაზე გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გასაცემად.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპებს წარმოადგენენ:

- ა) საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;
- ბ) საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის შეფასების კომპლექსურობა;
- გ) გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინება;
- დ) ექსპერტთა უფლებამოსილების შეუზღუდავი განხორციელება;
- ე) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობა და კანონიერება;
- ვ) საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება.

ნახსენებიდან ჩანს, რომ ქალაქთმშენებლობითი საქმიანობის რეგულაცია წარმოებს შესაბამისს საკანონმდებლო გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქთმშენებლობითი მოღვაწეობის ლიმიტირება წარმოებს მრავალი კანონით, დაგენილებით თუ სხვა და სხვა მაკონტრელებენი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, მაინც მშენებლობის განხორციელებისას საქმე გვაქვს ისეთ დარღვევებთან, რომლებიც ზიანს აყენებენ ქალაქის მწვანე საფარს.



2007 წლის 20 ნოემბერს №5462 – III გამოცემა კანონი – თბილისის ეროვნული პარკის შესახებ. მისი ძირითადი დებულებანი შემდეგი მუხლით იწყება:

1. აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების დაცვის, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში რეკრეაციული, ეკო-ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით თბილისის ეროვნული პარკი აღდგენილი იქნეს (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ტერიტორიის ფარგლებში) და გაფართოვდეს თიანეთის, მცხეთისა და საგარეჯოს სატყეო მეურნეობების, დიდგორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის მიწების ნაწილისა და საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ხარჯზე; მისი საერთო ფართობი განისაზღვროს სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალი 23218, 28 ჰექტარით; თბილისის ეროვნული პარკის აღნიშნული ფართობისთვის მიკუთვნებულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს მიენიჭოს დაცული ტერიტორიის კატეგორიის – ეროვნული პარკის სტატუსი.

2007 წლის 22 ნოემბერს №5486_III გამოცემა კანონი დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ. ეს კანონი უნდა არეგულირებდეს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე საქართველოს სსრ-ისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ შექმნილი დაცული ტერიტორიების სტატუსთან, ფართობთან და საზღვრებთან, მართვისა და ფუნქციონირების თავისებურებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

2013 წელს გამოცემა კანონი ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ. ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს ამ კანონით განსაზღვრული ბუნების ძეგლების სისტემის შექმნისა და მართვის სფეროში. ამ კანონით განსაზღვრული ბუნების ძეგლებისათვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ბუნების ძეგლების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.



კავკასია, რომლის შემადგენელი ნაწილიც საქართველოა, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) 200 გლობალური ეკორეგიონის ნუსხაში შედის.

ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციას საქართველო შეუერთდა 1994 წელს, კონსტიტუციის მიღებამდე ერთი წლით ადრე, რამაც დიდი როლი ითამაშა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით ქვეყნის მიმართების განსაზღვრასა და ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, საქართველო მიერთებულია არაერთ მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებას, რომელთა მიზნები და ამოცანები დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან.

2005 წლის 19 თებერვლის N27 მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. ამ დოკუმენტში საქართველოს ბიომრავალფეროვნების არსებული მდგომარეობის, პრობლემებისა და მასზე მოქმედი საფრთხეების გათვალისწინებით გამოიყო ცხრა ძირითადი საკითხი:

- დაცული ტერიტორიები,
- სახეობები და ჰაბიტატები,
- აგრობიომრავალფეროვნება,
- ნადირობა და მეთევზეობა,
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი,
- ბოუსაფრთხოება,
- გარემოსდაცვითი განათლება,
- საზოგადოებრივი ცნობიერება და საზოგადოების მონაწილეობა,
- ფინანსურ-ეკონომიკური პროგრამა,
- მდგრადი სატყეო მეურნეობა,
- საკანონმდებლო ასპექტები.

თითოეული ამ საკითხისათვის მოცემულია ათ წელზე გათვლილი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და მათი შესრულებისათვის საჭირო ხუთწლიანი მოქმედებათა გეგმა.

ამრიგად სხვა სფეროებთან შედარებით, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით ქვეყანას გააჩნია სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის არაერთი დოკუმენტი. მაგრამ მათი კანონმდებლობაში ასახვისა და პრაქტიკაში გამოყენების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი.



2005 წლის 5 სექტემბერს ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების საქალაქო კომიტეტი მერიის სეკვესტრირებულ სამსახურების რიცხვში აღმოჩნდა და გაუქმდა. შესაბამისი მანდატი კი საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გადაეცა. იგეგმებოდა გარემოს დაცვის სამინისტროს თბილისის რეგიონალური დეპარტამენტის შექმნა, თუმცა ჯერჯერობით ეს ვერ განხორციელდა.

გარემოს დაცვის სფეროში კონტროლი დაევალა სამინისტროს სტრუქტურას - გარემოს დაცვის ინსპექციას, რომელიც შეიქმნა სპეციალური კანონის საფუძველზე (საქართველოს კანონი “გარემოს დაცვის კონტროლის შესახებ” 2005 წ.).

საქართველოს არსებული კანონმდებლობის თანახმად, დაცული ტერიტორიები საქართველოში იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში მიღებულია დაცული ტერიტორიების კატეგორიები: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. ისინი შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორიებს (I- VI კატეგორია).



ეკრანზე მოცემულია დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები:

ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინებით, დაცულ ტერიტორიებს ქვეყნის საკმაოდ მცირე ფართობი უკავიათ. ევროპაში დაცულ ტერიტორიებს საშუალოდ 18% უკავია, მაშინ როცა ისინი საკმაოდ ჩამორჩებიან საქართველოს თავისი ბიოლოგიური მრავალფეროვნებით. ამასთანავე, საქართველოს დაცული ტერიტორიები პრაქტიკულად იზოლირებული არიან და არ უკავშირდებიან ერთმანეთს ეკოლოგიური დერეფნებით. დაცულ ტერიტორიებს, ფაქტობრივად, არ გააჩნია ბუფერული ზონები. მათი საერთო ფართობი და სივრცითი სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების სერვისების დაცვას.

დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ნაკლოვანია. ისეთი კატეგორიები, როგორცაა დაცული ლანდშაფტი (IUCN - V) და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (IUCN – VI) პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფენ დაცული ტერიტორიის ძირითად ფუნქციას - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ძალზე დაკნინდა ბუნების ძეგლისა (IUCN – III) და აღკვეთილის (IUCN – IV) მნიშვნელობა და ეფექტურობა.

არსებული დაცული ტერიტორიებიდან მხოლოდ სამს გააჩნია მენეჯმენტის გეგმა. დანარჩენების მენეჯმენტის გეგმა ან ვადაგასულია, ან არასოდეს მომზადებულა. დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის მომზადების სახემდღვანელო დოკუმენტი (guideline) მხოლოდ 2011 წლის აგვისტოს ბოლოს დამტკიცდა. კანონმდებლობის მიხედვით, მენეჯმენტის გეგმას უნდა ჰქონდეს ნორმატიული აქტის ფორმა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის შესაბამისად. ეს კი დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმას, რომელიც დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ყოველდღიურად გამოსაყენებელი სახელმძღვანელო უნდა იყოს, მეტად მოუხერხებელ, ნაკლებად სასარგებლო დოკუმენტად აქცევს.

დაცულ ტერიტორიებს არაადეკვატურად მწირი დაფინანსება გააჩნიათ. ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ ფინანსდება საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, თუმცა, ეს ძალზე არასაკმარისია.

დაცული ტერიტორიების დაგეგმვის, ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმმართველობის ჩართულობა მინიმალურია, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საკანონმდებლო მექანიზმების დაუხვეწაობით.

დაცული ტერიტორიების შესახებ საზოგადოების და შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღებების, ცნობიერების დონე ჯერ კიდევ დაბალია.



დასკვნის სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი:

80-იანი წლებიდან დაწყებული დეგრადაციის პროცესების ფონზე დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება ტყეების გაჩეხვა, უკანონო თუ კვაზიკანონიერი მშენებლობები, საწარმოო ნარჩენებით ტერიტორიების დაბინძურება,

ჩვენს დედაქალაქში ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა, მზარდმა ურბანიზაციამ, ქალაქური ცხოვრების დაჩქარებულმა ტემპმა, რასაც ემატება საზოგადოებისა და სახელმწიფო მმართველი ორგანოების უყურადღებობა და ინდიფერენტულობა, რომელთაც ევალუბოდათ წყლის ობიექტების დაცვისა და მენეჯმენტის საკითხები, გამოიწვია ის უარყოფითი შედეგები, რაც ასე მძიმედ აისახა ჩვენი საარსებო გარემოს დეგრადაციაში. არადა, ტერიტორიების გამწვანებას, თუ მათ რესტავრაცია-აღდგენას შეუძლია ურბანული ლანდშაფტის მთლიანად გარდაქმნა. ამ გზით შესაძლებელი იქნება ქალაქს შეემატოს მეტი სარეკრეაციო სივრცეები და ხელსაყრელი პირობები შეექმნათ ინვესტორებს ახალი ბიზნესის განვითარებისთვის.

აღნიშნულთან ერთად, საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში მიღებულია შემდეგი კანონები "გარემოს დაცვის შესახებ", "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", "ცხოველთა სამყაროს შესახებ", "საქართველოს წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ", "საქართველოს ტყის კოდექსი" და "საქართველოს წყლის კოდექსი". ეს კანონები და მათი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, წესით, უნდა წარმოადგენენ, როგორც ველური ბუნების შენარჩუნების, ისე საერთაშორისო კანონებისა და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების ქვეყანაში დანერგვის მექანიზმს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ კანონს არ გააჩნია ორგანული კანონის სტატუსი. ამის შედეგად, ამ ნორმატიული აქტის უმნიშვნელოვანესი მუხლები ძალას კარგავენ, მოდიან რა წინააღმდეგობაში სხვა შემდგომ მიღებულ ნორმატიულ დოკუმენტებთან. ფაქტიურად, კანონი არ ადგენს ქცევის კონკრეტულ ნორმებს – ძირითადად იგი მოიცავს ზოგადი ხასიათის ნორმა-პრინციპებს, რომელთაგან ზოგიერთი ურთიერთსაწინააღმდეგოა.